ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № C-2
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

მხარეები:

ერთის მხრივ, სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი წარმომადგენილი მისი სამხატვრო ხელმძრვანელი ნაზო სულუაშვილის სახით (შემდგომში „თეატრი") და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი - ***ფ/პ ანზორი დალალიშვილი - დურგალი (პ.№ 47001030679 მცხოვრები, ქ. ახალციხე, თბილისის ქ. №9)*** თეატრი და შემსრულებელი ცალ-ცალკე მოხსენებულნი არიან, როგორც „მხარე" და ერთად როგორც „მხარეები"

თეატრი და ***შემსრულებელი*** ცალ-ცალკე მოხსენებულნი არიან, როგორც ***„მხარე"*** და ერთად როგორც ***„მხარეები"*** მხარეები მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ,,ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ***„ხელშეკრულება"***) და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თეატრის დავალებით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს შემდეგი სამუშაო: მხატვრის მითითების საფუძველზე დაამზადოს სხვადასხვა სასცენო დეკორაციები და აქსესუარები სპეკტაკლისთვის **,, ქართული ვოდევილები"** , **,,გამზრდელი**" (შემდგომში `სამუშაო~)

1.2. შესყიდვის სშუალება - გამარტივებული შესყიდვა;

1.3. შესყიდვის კატეგორია CPV კოდები - CPV CPV 45421000 - სადურგლო სამუშაოები

1.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის თეატრი შემსრულებელს გადაუხდის შესაბამის თანხას (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი") ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის თეატრი შემსრულებელს გადაუხდის თანხას **1 000-00 (ათასი) ლარი** ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

2.2 სპეკტაკლის დაფინანსების წყარო - **სახელმწიფო ბიუჯეტი.**

2.3 ხელშეკრულების ფასის გადახდა თეატრის მიერ იწარმოებს სამუშაოს დასრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში; ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. თეატრის უფლება-მოვალეობები:

3.1.2 თეატრი ვალდებულია სამუშაოს შესრულების პერიოდში გამოუყოს შემსრულებელს ფართი თეატრის შენობაში და უზრუნველყოს შემსრულებელი ნორმალური სამუშაო პირობებით;

3.1.3. თეატრი ვალდებულია უზრუნველყოს შემსრულებელი ყველა იმ მასალით, რაც საჭიროა შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად;

3.1.4. თეატრი ვალდებულია ზუსტად და დეტალურად გააცნოს შემსრულებელს სათანადო ინფორმაცია სპექტაკლის შესახებ – სპექტაკლის ჟანრი, მოქმედების ადგილი და ხანა, მოქმედი გმირების ხასიათი და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს და დაეხმარება შემსრულებელს ჯეროვნად შეასრულოს სამუშაო;

3.1.5. თეატრი ვალდებულია მისცეს მითითებები შემსრულებელს სამუშაოს დაწყებისას სამუშაოს აღწერილობის და სხვა მახასიათებლების შესახებ;

3.1.6. თეატრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს სამუშაოს მიმდინარეობა, საჭიროების შემთხვევაში დააზუსტოს და კორექტირება შეიტანოს მასში;

3.1.7. თეატრი სამუშაოს დასრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღებს შესრულებულ სამუშაოს (მიღება-ჩაბარების აქტის სახით დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს);

3.2. შემსრულებლის უფლება-მოვალეობები:

3.2.5. შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
3.2.6. შემსრულებელი ვალდებულია ზუსტად და დეტალურად გაეცნოს ინფორმაციას სპექტაკლის შესახებ – სპექტაკლის ჟანრი, მოქმედების ადგილი და ხანა, მოქმედი გმირების ხასიათი და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს და დაეხმარება ჯეროვნად შეასრულოს სამუშაო;
3.2.7. შემსრულებელი ვალდებულია მოისმინოს და გაითვალისწინოს თეატრის მიერ მიცემული ყველა შენიშვნა და მითითება, შეიტანოს ცვლილებები უკვე შექმნილ დეკორაციასა თუ სასცენო აქსესუარებში.
3.2.8. შემსრულებელი ვალდებულია თავად შეასრულოს სამუშაო და თეატრთან წერილობითი შეთანხმების გარეშე არ დაუშვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება სხვა პირის (პირების) მიერ;
3.2.9. შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სამუშაოს შესასრულებლად ნორმალური სამუშაო პიროებების შექმნა თეატრის შენობაში;
3.2.10. შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს და შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნას სათანადო მასალითა და აღჭურვილობით, რაც საჭიროა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად;
3.2.11. შემსრულებელი სამუშაოს დასრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს თეატრს შესრულებულ სამუშაოს;

4. განსაკუთრებული პირობები

4.1. შემსრულებელი აცხადებს, რომ სამუშაოს დასრულების შემდგომ ნაწარმოების თეატრისათვის გადაცემის თაობაზე შემდგარ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით თეატრს გადასცემს დამზადებულ სასცენო დეკორაციებს და აქსესუარებს.

5. ხელშეკრულების მოქმედების და ვალდებულების შესრულების ვადა

5.1. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება ხელშეკრულების გაფორმბედან (ძალაში შესვლიდან) არაუგვიანეს მ/წ 05 მაისის ჩათვლით.
5.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერსთანავე და მოქმედებს 2023წლის 20 ივნისის ჩათვლით.
5.3 მიმწოდებელს უფელება აქვს ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ ვადაზე ადრე შეასრულოს სამუშაო.

6. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება
6.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების პირობებში. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა: ომი, საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა, ან ნებისმიერი ისეთი გარემოება, რაც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს;
6.2. დაუძლეველი ძალის მოქმედების დაწყების შემდეგ მხარე აგზავნის შესაბამის შეტყობინებას, სადაც მიუთითებს ასეთი გარემოებების წარმოშობასა და მოქმედების სავარაუდო ვადას.

7. დავათა გადაწყვეტა

7.1 მხარეები მიმართავენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;
7.2 საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერ დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი განიხილება და გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.
8.. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5-ე პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაშუ თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2(ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსლია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველს ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.
8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2 ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ;
9.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პუნქტის შეცვლა, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაზე;
9.4 წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მუხლი, პუნქტი მათ შორის თითოეული დანართი ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;,
9.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
წინამდებარე ხელშეკრულების სისწორეს მხარეები ადასტურებენ ხელმოწერით ზემოაღნიშნულ რიცხვსა და წელს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ. მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“ ქ. ახალციხე. თამარ მეფის ქN6 ს/კ: 224072928 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ა/N 708277015	**ანზორ დალალიშვილი** *პ.№ 47001030679* *ქ. ახალციხე, თბილისის ქ. №9* ლიბერთი ბანკი LBRTGE22 a/N № GE53LB0711146608542000
სამხატვრო ხელმძღვანელი ნაზო სულუაშვილი	ა. დალალიშვილი
LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre Digitally signed by LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre Date: 2023.04.18 11:49:10 +04'00' ---------- ხელმოწერა	Anzor Dalalishvili 47001030679 Digitally signed by Anzor Dalalishvili Date: 2023.04.18 11:48:03 _____ ხელმოწერა

Nazo Suluashvili 47001004665
Digitally signed by Nazo Suluashvili
Date: 2023.04.20 16:01:37